

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის  
საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
(cpv71320000)

## საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წ

## სარჩევი

1	საკონკურსო განცხადება	3
2	დანართი N1 - ტექნიკური დავალება	8
3	დანართი N2- აფიდავიტის ფორმა	12
4	დანართი N3 - საკონკურსო წინადადების ფასი	13
5	დანართი N4 - ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ	14
6	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	15

# 1. საკონკურსო განცხადება

1. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აცხადებს კონკურსს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე” და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:
2. **შესყიდვის ობიექტი:** საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N 1 (ტექნიკური დავალება) თანახმად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება  
✓ **შენიშვნა:** საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1 შემდგომში განისაზღვრება გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფენ ნაწილად.
3. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:** შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 67000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარს, რაც მოიცავს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულების ორმაგი ოდენობის პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის (იხ. ხელშეკრულების მე-9 პუნქტი) მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (სააგენტოს გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.
4. **დაფინანსების წყარო:** საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:** მომსახურების მიწოდების საერთო ვადა არის ხელშეკრულების გაფორმებიდან 13 კალენდარული კვირა, ხოლო ანგარიშგების დეტალური ვადები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციის დანართში N 1;
6. **კონკურსში მონაწილეობის საფასური:** საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

სააგენტოს ანგარიშის ნომერი, რომელზეც გადაიხდება საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური	
მიმღების ბანკი:	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:	REPLGE22

მიმღები:	ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიშის №	GE52BR000010591718543

**საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

**7. საკონკურსო წინადადების ფასი:**

7.1. ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, რაც უნდა მოიცავდეს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულების ორმაგი ოდენობის პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის (იხ. ხელშეკრულების მე-9 პუნქტი) მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

7.2. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ საპროექტო მომსახურების ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ზე მეტი ოდენობით სხვაობისას, კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მონაწილე პირი ვალდებულია, წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის და/ან ამ ფასად ვალდებულების მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. ზემოხსენებული დასაბუთებისა სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენლობა გამოიწვევს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას.

7.3. საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N7 გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

7.4. საკონკურსო წინადადების ფასი, რომელიც აღემატება საკონკურსო განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

7.5. ცალკეულ ობიექტებზე შემოთავაზებული ფასი, არცერთ პოზიციაზე არ უნდა აღემატებოდეს დანართში N3 მითითებულ ცალკეული ობიექტების სავარაუდო ღირებულებას, რომელიმე პოზიციაზე სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ფასის წარმოდგენის შემთხვევაში განხორციელდება კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.

**8. მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ კონკურსანტები:**

8.1. კონკურსანტის მიერ 2011-2014 წლების განმავლობაში დაპროექტებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების (როგორც საავტომობილო ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციის, ასევე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურება) არაუმეტეს 3 ანალოგიური პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 67000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარს. (შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.3).

✓ **შენიშვნა:**

საკონკურსო განცხადების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება 67000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარი) წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი შეფასების მე-2 ეტაპზე დაშვების მიზნით, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ექვემდებარება შეფასებას, შესაბამისად კონკურსანტი უფლებამოსილია წარმოადგინოს სრული ისტორია. ამასთანავე შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ 2011-2014 წლების განმავლობაში არაუმეტეს 3 პროექტის ფარგლებში განხორციელებული დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული ანალოგიური

ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (როგორც საავტომობილო ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციის, ასევე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურება) მომსახურების ჯამური ღირებულება, რომელიც დადასტურებული იქნება მიღების დამადასტურებელი დოკუმენტით.

შეფასებისას მხედველობაში მიიღება ყველაზე მაღალი ღირებულების არაუმეტეს 3 პროექტის ფარგლებში ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების გამოცდილება, რომელიც დადასტურებული იქნება მიღების დამადასტურებელი დოკუმენტით.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია - არ გამოიყენება

10. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია.

10.1. კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკონკურსო განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო წინადადება არ იქნება მიღებული და დაუბრუნდება კონკურსანტს.

10.2. დანართი N2 (აფიდავიტი)- საკონკურსო დოკუმენტაციის გათვალისწინებული ფორმისა და შინაარსის დაცვით.

10.3. საკონკურსო წინადადების ფასი - საკონკურსო დოკუმენტაციის დანართის N3 გათვალისწინებით (შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.7).

✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადების ფასი, რომელიც აღემატება საკონკურსო განცხადების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

10.4. კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და ამ მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდება აღნიშნული მომსახურების მიწოდება), რომლის თანახმადაც დადასტურდება, რომ კონკურსანტს 2011-2014 წლების განმავლობაში არაუმეტეს 3 პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქვს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (როგორც საავტომობილო ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციის, ასევე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურება) მომსახურება, რომლის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენს არანაკლებ 67000 (სამოცდაშვიდი ათასი) ლარს (შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი 0.3).

✓ **შენიშვნა:**

ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების ღირებულების უცხოურ ვალუტაში წარმოდგენის შემთხვევაში ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშება განხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდიზე (WWW.nbg.gov.ge) მითითებული გაცვლითი კურსით იმ კალენდარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელ კალენდარულ წელსაც განხორციელდა მომსახურების დასრულება.

ანალოგიური შინაარსის მომსახურების განმარტება - ანალოგიური მომსახურება გულისხმობს, როგორც საავტომობილო ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციის, ასევე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურებას, შესაბამისად კონკურსანტის გამოცდილება უნდა მოიცავდეს ორივე მიმართულებას, იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტის გამოცდილება შემოიფარგლება მხოლოდ საავტომობილო ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შედგენით და არ გააჩნია საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შედგენის გამოცდილება, ასეთ შემთხვევაში განხორციელდება კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.

2011-2014 წლების განმარტება- აღნიშნული მოთხოვნა მოიცავს პერიოდს და სავალდებულოდ არ გულისხმობს, რომ კონკურსანტს განხორციელებული უნდა ქონდეს თითოეული კალენდარულ წელში ანალოგიური ხასიათის საპროექტო მომსახურება, მაგ: თუ კონკურსანტს 2011-2014 წლებიდან მხოლოდ ერთ

კალენდარულ წელში აქვს განხორციელებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (როგორც საავტომობილო ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციის, ასევე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურება) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნას, ასეთ შემთხვევაში კონკურსანტის დაიშვება შეფასების მე-2 ეტაპზე.

10.5. ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N4 გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

✓ **შენიშვნა:** საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

**11. კონკურსანტების მიერ საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის პირობები.**

11.1. კონკურსანტებმა თავიანთი საკონკურსო წინადადება და მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 12 სექტემბრის 15:00 საათიდან 16:00 საათამდე დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, მე-3 სართული, ოთახი N 301 - სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

11.2. დალუქულ კონვერტში უნდა მოთავსდეს მხოლოდ საკონკურსო განცხადების 10.2-10.5 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, ხოლო კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მისი საკონკურსო განცხადების მე-5 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დალუქულ კონვერტთან ერთად წარედგინება საკონკურსო წინადადების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს.

11.3. საკონკურსო წინადადების მიღება დასრულდება 2014 წლის 12 სექტემბრის 16:00 საათზე, დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

11.4. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

**12. ანგარიშსწორების პირობები:**

ანგარიშსწორების პირობების მოცემულია ხელშეკრულების მე-7 პუნქტში.

**13. საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა:**

13.1. საკონკურსო წინადადებები შეფასდება კომისიური წესით, ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე განხორციელდება წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კონკურსანტების შერჩევა თუ რამდენად აკმაყოფილებს საკონკურსო წინადადების ფასი და წარმოდგენილი ინფორმაცია საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება საკონკურსო განცხადების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სავარაუდო ღირებულებას, ასევე სრულყოფილად არ იქნება წარმოდგენილი საკონკურსო განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია ან წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდება კონკურსანტის დისკვალიფიკაცია.

13.2. კონკურსის მე-2 ეტაპზე განხორციელდება შერჩეული პირების შეფასება შეფასების შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

N	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1	საკონკურსო წინადადების ფასი	0,7
2	ხელშეკრულებითა და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტებით დადასტურებული 2010-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების ჯამური ღირებულება	0,3
ჯამი		1,0

13.3. შეფასების კრიტერიუმის ქულის დაანგარიშების პრინციპი:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი :

ა.ა.) საუკეთესო საკონკურსო წინადადების ფასის მაჩვენებელს ავტომატურად მიენიჭება 10 ქულა.

ა.ბ.) ყოველი მომდევნო კონკურსანტ(ებ)ის ქულის დაანგარიშება განხორციელდება შემდეგი ფორმულით:  
საუკეთესო საკონკურსო წინადადების ფასის მაჩვენებელი გაყოფილი იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადების ფასის მაჩვენებელზე რომლის შემოთავაზებაც ფასდება და გამრავლებული 10-ზე;

ბ) 2010-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების ჯამური ღირებულება:

ბ.ა.) ყველაზე მაღალი ჯამური ღირებულების მქონე მაჩვენებელს მიენიჭება 10 ქულა.

ბ.ბ.) ყოველი მომდევნო კონკურსანტ(ებ)ის ქულის დაანგარიშება განხორციელდება შემდეგი ფორმულით:  
იმ მონაწილის ჯამური ღირებულების მაჩვენებელი რომელიც ფსდება გაყოფილი ყველაზე მაღალი ჯამური ღირებულების მქონე მაჩვენებელზე და გამრავლებული 10-ზე.

13.4. შეფასება განხორციელდება 10 ბალით, მე-2 ეტაპზე შერჩეული პირებიდან გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც მიიღებს საკონკურსო განცხადების 13.3. პუნქტით გათვალისწინებული პრინციპის თანახმად დაანგარიშებული ქულისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გადამრავლებით მიღებულ ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

#### 14. დამატებითი ინფორმაცია:

14.1. დამატებითი ინფორმაცია ასევე შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი პირისგან - გიორგი ბულიეშვილი  
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი:  
ტელ: +995 32 2437001/02/03/04 (შიდა ნომერი 405/414)

## ტექნიკური დავალება

### ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურება

#### 1. შესავალი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურებაში ინვესტირება; ამავდროულად, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს N1490 განკარგულებით მგფ-ს დაევალა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა.

#### 2. მიზანი და პირობები

წინამდებარე დავალების მიზანს წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული ობიექტების დეტალური პროექტის მომზადება შემდგომში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

##### პროექტის მოკლე აღწერა

წინამდებარე დავალება მოიცავს ლენტეხის მუნიციპალიტეტში 6 ინფრასტრუქტურული ობიექტის რეაბილიტაციას და მშენებლობას. სამუშაოები ძირითადად მოიცავს ხიდების რეაბილიტაციას და მშენებლობას, გზების რეაბილიტაციას, საყრდენი კედლების მოწყობას. ობიექტების ჩამონათვალი და ზირითადი პარამეტრები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	ობიექტის დასახელება	ძირითადი პარამეტრები*
1	სოფ. ტყვიბში საავტომობილო ხიდის მოწყობა მდ. მუხურაზე	მალის სიგრძე - 24 მ; გაბარიტი - 4.5 მ
2	სოფ. მამი-ედიყის მიმართულებით საავტომობილო ხიდის მოწყობა და საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	მალის სიგრძე - 12 მ; გაბარიტი - 3.5 მ; გზის სიგრძე - 3კმ
3	სოფ. ჭელეში საავტომობილო ხიდის მოწყობა	მალის სიგრძე - 24 მ; გაბარიტი - 4.5 მ
4	სოფ. დურაშის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია (მეორე ხიდი)	მალის სიგრძე - 21 მ; გაბარიტი - 4.5 მ
5	დაბის ქუჩების კეთილმოწყობა (მეორე ფაზა)	ჯამური სიგრძე - 3.5 კმ;
6	სოფელ ხელედში შიდა საუბნო გზების ზედა და ქვედა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (მეორე ფაზა)	კედლის სიგრძე - 145 მ; საშუალო სიმაღლე - 3 მ;

*\*) ცხრილში მოცემული ძირითადი პარამეტრები წინასწარია და ექვემდებარება პროექტირების ეტაპზე დაზუსტებას.*

#### 3. დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება



საპროექტო მომსახურების პირველ ეტაპზე კონსულტანტმა (მიმწოდებელი) უნდა ჩაატაროს ობიექტების ინვენტარიზაცია და დააზუსტოს სარეაბილიტაციო ნაგებობების საპროექტო პარამეტრები. ჩაატაროს საპროექტო ნაგებობის ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა. შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს ბენეფიციართან და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან (შემსყიდველი).

ნაგებობების ფუძეების გრუნტების მახასიათებლების და მათი მზიდუნარიანობის დადგენის მიზნით, უნდა ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს სარეაბილიტაციო ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნა.

ხიდების და საყრდენი კედლების პროექტების შესადგენად შესწავლილი უნდა იქნას მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმი და ძირითადი მახასიათებლები (მაქსიმალური წყლის ხარჯები და დონეები, ზოგადი და ადგილობრივი გარეცხვის სიღრმეები და ა.შ.).

სამუშაოების მეორე ეტაპზე კონსულტანტმა უნდა დაამუშაოს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია კვლევითი სამუშაოების საფუძველზე მიღებული და შეთანხმებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

პროექტს უნდა დაერთოს ეკონომიკური ანალიზის ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კაპიტალურ ხარჯებს და ასევე საოპერაციო და მოვლა-შენახვის საშუალო წლიურ ხარჯებს. ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით.

პროექტს უნდა ახლდეს გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.

### **3.1 ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა**

დავალემა გულისხმობს ფინანსური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი შესწავლის მომზადებას, რომელშიც ასევე შევა შემოთავაზებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი. მიმწოდებლის (კონსულტანტის) მიერ წარმოსადგენი მასალა უნდა მოიცავდეს:

- ქვეპროექტის პარამეტრების ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება, შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვის ჩათვლით.
- რეკომენდაციები პროექტის განხორციელების გეგმის შესახებ და განხორციელების სავარაუდო გრაფიკი;
- პროექტის პრობლემებისა და რისკების ანალიზი;

### **საწყისი ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასებისათვის.**

მიმწოდებელი (კონსულტანტი) განხორციელებს წინასწარ შესწავლას და შეაგროვებს იმ მინიმალურ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა პროექტის კატეგორიზაციისათვის, გზმ-ს აუცილებლობის შესახებ გასაწყვეტილების მიღებისა და გზმ-ს ტექნიკური დავალების მომზადებისათვის. მიმწოდებელი ასევე მოიპოვებს და წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას მიწის მფლობელობის და ზემოქმედების მასშტაბის წინასწარი შეფასებისათვის. წინასწარი შესწავლის ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის მოკლე კონცეპტუალური აღწერა
- პროექტის განხორციელების ადგილი ტოპოგრაფიულ რუკაზე და სიტუაციური გეგმა
- პანორამული ფოტოები და ცალკეული ნაგებობებისათვის განკუთვნილი ადგილების ფოტოები
- წინასწარი ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაცია (რელიეფის, ქანების, ნიადაგის აღწერა არსებული საარქივო მონაცემების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად; ინფორმაცია უნდა იძლეოდეს დასკვნას სახიფათო გეოლოგიური პროცესების არსებობის ან ალბათობის შესახებ, აფეთქებითი სამუშაოების წარმოების აუცილებლობის შესახებ; გრუნტის წყლების განლაგების სიღრმის შესახებ და ა.შ.)
- სიახლოვე მდინარესთან ან ზედაპირული წყლების სხვა ობიექტებთან (ტბები; არხები და ა.შ.)
- გულისხმობს თუ არა პროექტი ტყის გაჩეხვას ან სხვა სახის მცენარეული საფარისაგან გაწმენდას

- მიწის მფლობელობის და მიწათსარგებლობის საკითხები:

ა) საკადასტრო მონაცემები პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე;

ბ) ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, ახდენს თუ არა პროექტი ზემოქმედებას კერძო საკუთრებაში მყოფ ან არენდით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე (დროებითი შეშფოთება, ნაკვეთის ნაწილის ან მთლიანად ნაკვეთის დაკარგვა მფლობელის მიერ, ნაკვეთზე არსებული ქონების დაკარგვა, შემოსავლის დაკარგვა და ა.შ.)

საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა კომუნიკაციების გადატანასთან დაკავშირებული აუცილებელი შეთანხმებებისა და ნებართვების ნუსხა, რომლის საფუძველზეც უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემსყიდველის გარემოს დაცვისა და სოციალური სპეციალისტი განახორციელებს სკრინინგის პროცედურას, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავს შემდგომი გარემოსდაცვითი და სოციალური შესწავლების აუცილებლობას.

**პროექტს უნდა დაერთოს ეკონომიკური ანალიზის ნაწილი**, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კაპიტალურ ხარჯებს (CAPEX) და ასევე საოპერაციო და მოვლა შენახვის საშუალო წლიურ ხარჯებს (OPEX). აღნიშნული მონაცემები აუცილებელია მომზადდეს პროექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტის ყველა შესაძლო ალტერნატივისათვის (პროექტის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილ უნდა იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტის სულ მცირე ორი ალტერნატივა). ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების თითოეული ალტერნატივის მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით.

ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის საფუძველზე მიმწოდებელი (კონსულტანტი) მუნიციპალიტეტთან და შემსყიდველთან ერთად განსაზღვრავს ქვეპროექტის ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ სამუშაოებს, რომლისთვისაც დამუშავდება დეტალური საინჟინრო პროექტი.

### 3.2 წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია

- განმარტებითი ბარათი;
- ნაგებობების და კომუნიკაციების სიტუაციური და გენერალური გეგმები;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- ხაზობრივი ნაგებობების გრძივი და განივი პროფილები;
- საინჟინრო ნაწილი - ელექტრო-მექანიკური და ტექნოლოგიური მოწყობილობების სამონტაჟო სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (საჭიროების შემთხვევაში);
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
- ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
- სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციებზე დატვირთვების განსაზღვრა ტექნიკური პირობების მისაღებად შესაბამისი უწყებებიდან (საჭიროების შემთხვევაში);
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების მართვის გეგმა (გმგ);
- რენდერები და ფოტომასალა;
- საკადასტრო ინფორმაცია.

პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტები სათანადო დასაბუთებით (უნდა დაერთოს საჭირო საინჟინრო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევების შედეგები და საანგარიშო მახასიათებლები, სარეაბილიტაციო ობიექტის

ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი, ეკონომიკური ანალიზი.

მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

#### **4 მიმწოდებლის (კონსულტანტი) შტატი**

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე პერსონალის).

ყველა სპეციალისტი თავის დისციპლინაში აღიარებული პროფესიონალი უნდა იყოს და გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 10 წლის პროფესიული გამოცდილების სტაჟი.

#### **5 ანგარიშგება და განრიგი**

პროექტირების პირველ ეტაპზე, სამუშაოთა დაწყებიდან **ხუთი კვირის** ვადაში, მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა წარმოადგინოს საწყისი ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შესრულებული კვლევების და განგარიშების შედეგებს, ასევე დაზუსტებულ საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალს.

წარმოდგენილი ანგარიში **ერთი კვირის** ვადაში განხილული და შეთანხმებული იქნება მუნიციპალიტეტთან და შემსყიდველთან (წერილობით და/ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

წინასწარ ანგარიშზე თანხმობს მიღებიდან **ხუთი კვირის** ვადაში მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა წარმოადგინოს დეტალური საინჟინრო პროექტების სამუშაო ვერსია შესთანხმებლად.

წარმოდგენიდან **ერთი კვირის** ვადაში შემსყიდველი, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი განიხილავს პროექტებს და მიაწვდის შენიშვნებს მიმწოდებელს (კონსულტანტი) წერილობით და/ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

შემსყიდველის, ან მის მიერ უფლებამოსილი პირის შენიშვნების მიღებიდან **ერთი კვირის** ვადაში მიმწოდებელი (კონსულტანტი) წარუდგენს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიას (ამ დავალების 3.2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად) და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შეთანხმების დოკუმენტს.

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) შემსყიდველს უნდა გადასცეს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი ოთხ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD ან ArchiCAD და PDF ფორმატში).

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება - შეთანხმებაში.

#### **6 შემსყიდველის წვლილი**

შემსყიდველი მიმწოდებელს (კონსულტანტი) გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

#### **7 მომსახურების ხანგრძლივობა**

საპროექტო მომსახურების საორიენტაციო ვადაა **13 კვირა** ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

**ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი**

**საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

- უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი “კონკურენტი” აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი;
2. საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
4. ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

\*საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე. გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

**თანხმობა**

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებლივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა-----

საკონკურსო წინადადების ფასი (ხარჯთაღრიცხვა)

შეცვლის თარიღი „\_\_\_“ \_\_\_\_\_ 2014წ

საკონკურსო წინადადების ჯამური ღირებულება \_\_\_\_\_ ლარი  
 (ციფრებით) (სიტყვიერად)

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება (*) (ლარი)	შემოთავაზებული ფასი (ლარი)(*)
1	2	3	4	5
1	სოფ.ტყვიბში საავტომობილო ხიდის მოწყობა მდ. მუხურაზე	1	14500	
2	სოფ. მამი-ედიყის მიმართულებით საავტომობილო ხიდის მოწყობა და საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	1	11000	
3	სოფ. ჭელეში საავტომობილო ხიდის მოწყობა	1	16000	
4	სოფ. დურაშის საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია (მეორე ხიდი)	1	11000	
5	დაბის ქუჩების კეთილმოწყობა (მეორე ფაზა)		9000	
6	სოფელ ხელედში შიდა საუბნო გზების ზედა და ქვედა საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (მეორე ფაზა)	1	5500	
			<b>ჯამი</b>	

სავალდებულო მოთხოვნა :

(\*) შემოთავაზებული ფასი არც ერთ პოზიციაზე არ უნდა აღემატებოდეს მე-4 სვეტში მითითებულ სავარაუდო ღირებულებას.

ამასთანავე ვადასტურებთ, რომ საკონკურსო წინადადების ფასი მოიცავს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულების ორმაგი ოდენობის პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის (იხ. ხელშეკრულების მე-9 პუნქტი) მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

### რეკვიზიტები

- პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტის მისამართი:
- მომსახურე ბანკი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

---

ხელმოწერა,

---

ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ კონკურსანტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული კონკურსანტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.*

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

„ \_\_\_ „-----“ 2014წ

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის ბ-ნი ილია დარჩიაშვილის სახით და მეორე მხრივ ----- (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ----- სახით, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის (N----) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### **1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### **2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (შემდგომში მომსახურება) (cpv71320000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### **3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1(ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი

ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

**4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები**

4.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3. მომსახურების გაწევის ვადა საერთო ვადა და მოსახურებზე ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1(ტექნიკური დავალება).

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის -----

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2. მომსახურების წარდგენისა და მიღება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის -----

**7. ანგარიშსწორება**

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3. ანგარიშსწორებ მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს ცალკეული ეტაპების მიხედვით მიწოდებული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე თუ მიმწოდებელი არის დღ-ს გადამხდელი.



7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5. ანგარიშსწორება მომსახურების ცალკეულ ეტაპებზე განისაზღვრება შემდეგი პროპორციით:

7.5.1. დასაპროექტებელი ობიექტების შესწავლის წინასწარი ანგარიში - (არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30%) ლაარი

7.5.2. დეტალური პროექტის საბოლოო ვარიანტი სატენდერო მასალებთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შეთანხმების დოკუმენტთან ერთად (არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 70%) ლაარი

7.6. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.7. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს მის მიერ განსაზღვრულ თანხისა და მოქმედების ვადის საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია.

7.8. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 7.7. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.9. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიწოდებული მომსახურების ან მისი ეტაპის ღირებულებიდან წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის გამოქვითვა განხორციელდება შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პროპორციით.

#### **8. მომსახურების ხარისხი და გარანტია**

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

#### **9. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა**

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას და ასევე წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი რისკის დაზღვევის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ უზრუნველყოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ქვემოთ მითითებული პირობების შესაბამისად:

9.1.1. პროფესიული დაზღვევის დასაფარი თანხა შეადგენს (ხელშეკრულების ღირებულების ორმაჯ ოდენობას) ლარს. (ფრანშიზა - არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 1% ).

9.1.2. დაზღვევა უნდა ფარავდეს ყველა მოსალოდნელ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მიმწოდებლის პროფესიული შეცდომის შედეგად და რომელმაც წარმოშვა შემსყიდველისათვის დამატებითი ხარჯი ან ზიანი.

9.1.3. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უზრუნველსაყოფად მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 2 კალენდარულ წელზე ნაკლები მისი გაცემის თარიღიდან.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.1.1. პუნქტში განსაზღვრული ფრანშიზის დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9.3.იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის შეცდომის შედეგად გამოწვეული ხარჯის ან/და ზიანის დაფარვა ვერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 9.1. პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მიყენებული ხარჯის ან/და ზიანის ანაზღაურება.

**10. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდენციალურობა და სავტორო უფლება**

10.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

10.3.სავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**11.მხარეთა ვალდებულებები**

11.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

11.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

11.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

11.2.შემსყიდველი ვალდებულია:

11.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

11.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

11.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**12.მხარეთა უფლებები**

12.1.მიმწოდებელს უფლება აქვს:

12.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

12.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

12.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი.

12.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

**13.ფორს-მაჟორი**

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული

ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

#### **14. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

14.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

#### **15. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

#### **16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

#### **17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

17.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის ან წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის პოლისის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების

შესრულებისაგან.

17.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

#### **18. ხელშეკრულების შეწყვეტა**

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

18.1. მხარეთა შეთანხმებით;

18.2. ხელშეკრულების 17.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

18.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

#### **19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 201- წლის --- -----  
- ჩათვლით.

#### **20. განსაკუთრებული პირობები**

20.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

20.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.